საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის თერთმეტ აგვისტოს, მე ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. №5; ბ.40 მომმართა კახა კობერიძემ. მან განაცხადა, რომ სურს განცხადების (თანხმობის) შედგენა და მასზე მისივე ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და ვადასტურებ, რომ ნამდვილად კახა კობერიძემ (დაბადებული 17.07.1966წელს, პ/ნ 01029004050, პ/მ 15IB64582, გაცემული 2016-06-04წ, მის: **თბილისი მოსკოვის გამზ. N 41 ბ. 49**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, განვუმარტე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა. ამასთან, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მისივე კარნახით შევადგინე განცხადების ტექსტი, რომელიც მე ნატარიუსმა წავუკითხე ხელმომწერ პირს, აღნიშნულის შემდეგ მან ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია და სრულად მისაღებია ტექსტის შინაარსი, იგი გამოხატავს მის სურვილს და ნებას და პირადად მოაწერა ხელი შემდეგ დოკუმენტს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(თანხმობა)

მე, კახა კობერიძე (დაბადებული 17.07.1966წელს, პ/ნ 01029004050, პ/მ 15IB64582, გაცემული 2016-06-04წ, მის: **თბილისი მოსკოვის გამზ. N 41 ბ. 49**), ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ ჩვენს მფლობელობაში არსებული შპს „მ%"-ს (ს/კ 204960694) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანაზე ახალი მშენებლობის და ოფისის ფიქსაციით, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელისმოწერით.

ხელმოწერა: _____

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცა ხელმომწერ პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს მთავრობის 2011წ 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 6.00 (ექვსი) ლარი და 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2 (ორი) ლარი. სულ გადახდილია 8.00 ლარი.

ნოტარიუსი: _____ ეკატერინე ედიბერიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160894893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.08.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ეკატერინე ედიბერიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, მოსკოვის გამზირი #5 ბ. 40**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	270 48 73
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	07914784545416

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18